ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა

აპლიკანტის მიღების წესი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე ადგილობრივ აპლიკანტთა მიღება ხდება **საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების** და **შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის/გასაუბრების** შეფასების საფუძველზე. საერთაშორისო აპლიკანტების მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N224/ნ ბრძანების (დეკემბერი 29,2011) საფუძველზე:

მაგისტრატურაში სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში;
- სოციალური მუშაობის და კონსულტაციის სფეროში;
- ფარმაციის ან საექთნო საქმის სფეროში;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების ან მენეჯმენტის სფეროებში;
- დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაცია.

ყველა აპლიკანტს თანაბრად მოეთხოვება:

● წარმოადგინოს TOEFL (მინ ქულა 75) ან IELTS (მინ ქულა 6) გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ვალიდური სერთიფიკატი. თუ აპლიკანტს არ აქვს აღნიშნული სერთიფიკატი, მან უნდა ჩააბაროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდა ინგლისურ ენაში;
● წარმოადგინოს GMAT (მინ ქულა 550) ან GRE (მინ ქულა 260+3) გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ვალიდური სერთიფიკატი. თუ აპლიკანტს არ აქვს მსგავსი სერთიფიკატი, მან უნდა ჩააბაროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული **გამოცდა რაოდენობრივ და სიმბოლურ მსჯელობაში.** გამოცდა რაოდენობრივ და სიმბოლურ მსჯელობაში აფასებს აპლიკანტის მათემატიკურ უნარებს: ცხრილების, დიაგრამების თუ ფორმულების სახით წარმოდგენილი ინფორმაციის (სიტუაციური ამოცანები, ქეისები) კითხვის, გააზრების, გაგების და ინტერპრეტაციის უნარს.
● წარმოადგინოს ინგლისურ ენაზე შევსებული აპლიკანტის სამოტივაციო განაცხადი
● წარმოადგინოს პროფესიული ავტობიოგრაფია (CV), რომელშიც სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებული იქნება განათლების წინა საფეხურზე მიღებული GPA ან საშუალო სარეიტინგო ქულა
● ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა

აპლიკანტის შეფასების წესი

მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად წარდგენით (TOEFL/IELTS ან საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურში და GMAT/GRE ან საუნივერსიტეტო გამოცდა QSR და შევსებული განაცხადი) აპლიკანტი ავტომატურად იღებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე გასვლის უფლებას.

***სამოტივაციო განაცხადის ფორმატი:**
სამოტივაციო განაცხადი არ უნდა აღემატებოდეს 1 000 სიტყვას და უნდა წარმოადგენდეს ლოგიკურ და თანმიმდევრულ დოკუმენტს, რომელიც წარმოაჩენს:

- თუ რატომ არის დაინტერესებული აპლიკანტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს შესწავლით?
- რატომ სურს მიიღოს მაგისტრის აკადემიური ხარისხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით?
- რომელი მიმართულებით არის უფრო მეტად დაინტერესებული?
- როგორ ხედავს თავის კარიერულ წინსვლას?
- რატომ გადაწყვიტა ამ კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება?

*სამოტივაციო განაცხადი შემოწმდება პლაგიატზე Turnitin პროგრამის საშუალებით, პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში აპლიკანტი გამოეთიშება კონკურსს.

სამოტივაციო განაცხადის შეფასება: კანდიდატის შეფასება ხდება კომისიის ყველა წევრის (მინიმუმ სამი) მიერ შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით 10-ქულიან სკალაზე (1 ძალიან დაბალი - 10, ძალიან მაღალი). თითოეულ კრიტერიუმზე საბოლოო ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ განაცხადისთვის მინიჭებულ ქულათა საშუალო მაჩვენებლით, ხოლო სამოტივაციო განაცხადის საბოლოო ქულა განისაზღვრება თითოეული კრიტერიუმის საშუალო მაჩვენებლების ჯამით.

სამოტივაციო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები:

კრიტერიუმი / შეფასება	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**
პროგრამაზე სწავლის მოტივაცია										
პროგრამაზე სწავლის მზაობა										
პროგრამაზე სწავლის მოლოდინების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან										
პროფესიული ზრდის ინტერესი										
მსჯელობის თანმიმდევრულობა										

ზეპირი გამოცდის **შეფასება:** კანდიდატების შეფასება მოხდება კომისიის ყველა წევრის (მინიმუმ სამი) მიერ შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით 10-ქულიან სკალაზე (1 ძალიან დაბალი - 10 ძალიან მაღალი). გამოცდის თითოეული კრიტერიუმის ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ აპლიკანტისთვის მინიჭებულ ქულათა საშუალო მაჩვენებლით, ხოლო გამოცდის ჯამური ქულა განისაზღვრება თითოეული კრიტერიუმის საშუალო მაჩვენებლის ჯამით.

კრიტერიუმი / შეფასება	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**
დარგობრივი (საბაზო) ცოდნა										
მსჯელობა, არგუმენტაცია და თვით-რეფლექსია (დამოუკიდებელი ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი)										
პასუხების რელევანტობა და დარგობრივი დისკუსიის უნარი										
დარგის უახლესი ტენდენციების ცოდნა და										

გამოწვევების ანალიზი										
აკადემიური და/ან პროფესიული მიღწევები										

აპლიკანტის მიღების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება სამოტივაციო განაცხადის და ზეპირი გამოცდის ჯამური შეფასებით. **იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის ჯამური ქულა იქნება 51 ქულაზე ნაკლები, ის გამოეთიშება კონკურსს.**